



№ 44 - 1916 | წელ. მეოთხე | ფასი
 კვირა, 30 ლვინოპის. | გასულითვისა | 12 კ.

შურ. „თეატრი და სხოვრების“ რედაქცია მწუხარებით აუწყებს საზ-ას თავისი თანამშრომლის რქეოლოგ-ისტორიკოსის **თედო შორდანიას** გარდაცვალებას. წირვა და პანაშვილი ქვაშუეთის ეკლესიაში. დაკრძალულ იქნება კვირას, ღვინობისთვის 30, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში—დიღუბეში.



არქეოლოგ-ისტორიკოსი
 † თედორე დავითისძე უორდანი (1854—1916)

შინაარსი:

- 1, მეთური— დრას საქმეს მიეუთ ხელი . 2
- 2, ს. აბაშელი—იისფერი თვალები 3
- 3, გ. ქუჩიშვილი—ექსპრ ატი 4
- 4, იოსებ არიმათიელი—დევნილი მოღვაწე . 5
- 5, ნ. მიწიშვილი—მღუმარება 6
- 6, ივ. გომართელი—გლადიურ სტაროსელსკინ 8
- 7, ვ. რუხაძე—დილა 9
- 8, ფ. რუშაველი—ფტოლგა 10
- 9, ალა ნორიელი— დეკ. პ. კეკელიძე . . 10
- 10, ვეფხო ფშაველი—ეფენარა 10
- 11 ს. ერთაწმინდელი—შპინარე არწივი . . 11
- 12, ნ. ელიაშვილი—იძულებული 11
- 13, ახლობელი—ზრთეანტ მოღვაწე ქალები 13
- 14, ევ. ფურცხვანიძე სიკვდილის მოლოდინში, 13

ღვინობისთვის 30

დროა საქმეს მივყოთ ხელი! კლდეს გახვრეტს წვეთი თუ მუდამ ერთ ადგილს დაედინებაო, უთქვამს ჩვენს ხალხს და ჩვენც ხშირად გაგვიმეორებია.

მერე ვინ ისვენს ამ სიბრძნეს?

ქართული მეღობჯოვნის მსახურთა ჯნუგეშობაჲ, თბილისის ქართული სამლოცველო ხელოვნებას ტაძრის ჩანთქმამ ლასს ქვანიც აატრემლოს, არა ერთი და ორი აზრი შეღვენდება, არაერთი და ორი გეგმა იწერება თეატრის ასაგებად, შეუსრულებელია კი არავინაა...

ჩვენს თვალწინ იმხობა და ნადგურდება სამეფო სახელმწიფოფნი, მკედრეთით სდგებიან სხვანი, ჩვენ-კი.

მხოლოდ გაუთავებელი შუღლი, ერთუროთის დამცირება გვახსულდგმულეებს

ზღვა კოვზით დაილიაო, ჩვენ-კი „მცირე“ საქმეზე ხელს არ ვძრავთ, „დიდთა“ საქმეთა ღირსად არვინ გვყოფს.

განსვენებულმა გ. გძელიშვილმა სულ მცირე საქმე დაიწყო — „ახალ კლუბს“ ქართული თეატრის სასარგებლოდ კერძებზე შეური წაამატებინა. მაშინ ამ აზრმა ბევრს ღიმიც მ ჰგვარა. — დღეს-კი ამ შეურობით სათეატრო ფონდისთვის ოცი ათას მანათზე მეტია შტკრებილი.

ერთერთს ჩვენს მეთაურში ამ წლი-ნახევრის წინად თეატრის ამგებ კომიტეტს ეგრედ წოდებული „გაგურების“ გამოცემა ეურჩიეთ, — მათ თითქოს არც კი გაიგესო; სამაგიეროდ ქართულ კულტურის მოუფარულთა სოციალდებამ ამ აზრით ისარგებლა, უკვე რვა ათას მანათზე მეტი შეკრიბა და კიდევაც ჰკრბეს ქართველ მოღვაწეთა გარაკისთვის...

ქართული თეატრის ასაგებად სხვა საშუალებათა შორის, ბ-მა თეატრის მეგობარმა გახსულ კვირას ფ-იად გ-ნივრული რჩევა მოგვცა (იხ. „საქრ.“ 23ნ, წერილი „საშუალება თეატრის ასაგებად“): იაფ ფასიანი ლატარია გაემართოთ სამი მალიონის თანხისა თათო მანათიანი ბილეთითო.

რა ცოცხალი და პრაქტიკული აზრია, მაგრამ აბა თუ ჩვენი თეატრის კიბრის უფაღნი გულისხმას ჩავარდნენ!

რაო, საერთაშორისო ომია, თითქმის მთელი საქართველო ბრძოლის ველზეა და უზომო სიძვირე ხალხს მძიმე ტვირთად დააწვა?! —

სამაგიეროდ ამოდენა ფული ხომ შემდეგ, როცა ომი გათავდება და ქვეყნას მრავალი მახინჯ-საპყარი დაუბრუნდება, უამარი ქვირილობოლი დაიკენცხებს, — აღარ იქნება.

განა გახსოვთ გასართობებს ეგოდენი მრევლი როდისმე ჰყოლოდეს?

„დრო საშუაია, დაუბნოთ ქვეს და დონესა“, თორემ მერე შეიღება გვიან-ლა იყოს.



იისფერი თვალკბი.

(რონდო)

ორი იისფერ ყურძნის მარცვალი, ან ორი ია რძეში მცურავი. — შეგ წამწამებით დასაბურავი ციფერ ყვავილზე სხივ-მფინარ ცვარი.

შენს თვალებს გარდა სხვაგან არც არი შორის აღერსით დასწურავი არი იისფერ ყურძნის მარცვალი ან ორი ია რძეში მცურავი.

სხვაგან ნუ ეძებს იას ნურავინ, ია აქ ჰყვავის, ორი, არ ცალი, ეჰ, არც იაა ეგ და არც თვალი, — ეგ არის კონცით დასაწურავი ორი იისფერ ყურძნის მარცვალი.

ს. ასუქუ

მეხსაროვანი.

(გ. სავანაშვილს)

კმარა რაც რომ ვიოცნებთ მამაპაპურ ძველ წარსულზე, და ათასი ვიგინდარა ვახარხარეთ ერის წყლულზე.

შეეკავშირდეთ, შეეკრათ პირი, გავახილოთ ყველამ თვალი, დაფიცვით და განვაშტკიცოთ ჩვენი აწმყო — მომავალი.

გ. ქუჩიშვილი

დ ე ვ ნ ი ლ ი მ ო ღ ვ ა წ ე

არქეოლოგ-ისტორიკოსი თედო ღვ. ჟორდანიძე

მიეცით კვისრისა კვისარსა,
და ღვთისა ღმერთსა.

წმ. სახარება.

„ტანჯვა-წამება, მოძმეთგან ღვინა შექუღბედათა თან დამყოლია!“—თამამად შეეძლო თავის თავზე ეთქვა ჩვენს ისტორიკოს-არქეოლოგოსს თედორე (თედო) ღვითის ძე ჟორდანიძის, რომელიც ღვინობისთვის 22 კასპში გარდაიცვალა და ღვთს-კი. ღვინობისთვის 30, ღვთს სავანეში მიეპარება სამარგს ჩვენის ქვეყნის მადლიან შვილებთან ერთად.

სიკმაწვილეში ადრე დაობლება, სიღარიბით სწავლა, სიკბუქეში გაჭირვება, დავაყვაცებაში—შეუჭრებელი მუშაობა, როგორც სამსახურში (ჯერ მასწავლებელი იყო მერე საეპარქიო სკოლაში მეთვალყურე), ისე კერძოდ ჩვენის წარსულის შესწავლა-გამოკვლევის დროს და სიკვდილის კარამდე შეუჭრებელი ღვინა,—აი, ვინ იყო თედო ჟორდანიძე...

თ. ჟორდანიძე და ბადა 185± წ. 20 აპრ. დედა სიკმაწვილეშივე გარდაეცვალა, მამა-კი ბერად შესდგა და აფხაზეთს გამწესდა მისიონერად, რ-ს გამოც პატარა თედორე იზრდებოდა ჯერ თვის ძიძის, მერე მამიდის სახლში და ზავშობ დანჯი შეუყვარდა ქართული ხალხურ-ეროვნული კულტურა.

სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სემინარიაში, რომლის გათავების შემდეგ, როგორც საუკეთესო მოწიფე მთავრობის ხარჯით გაიგზავნა სასულიერო აკადემიაში, რომელიც ჩინებულად დაასრულა 1879 წ. ამავე წლის ენკენისთვეში გააწესეს მასწავლებლად თბ. სას. სასწავლებელში; სამღვდლოების კრებამ მალე ამ სასწავლებლის ზედამხედველად აარჩია (სამღვდლოებას მაშინ ეს უფლება ჰქონდა). შემდეგ გადავიდა სემინარიაში, საცა 1896 წ-დე დაპყო. სემინარიაში მასწავლებლობის დროს ღრმა კვალიც დააჩნია: მისი მცადანერობით დაარსდა საშტატო კათედრა ქართული ენისა და ისტორიის, რომელიც

ავიღანვე ეჭირა. მისი მოწაფენი იყვნენ: ლეონიდე, დავით და ანტონ ეპისკოპოსნი, ნოე ჟორდანიძე, თ. სახოკია, იპ. ვართაგავა, ს. გორგაძე, მ. კორ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, მ. კელენჯერიძე, გ. იმნაიშვილი და სხ. სემინარიაში მასწავლებლობის დროსვე შეადგინა ქართული ენის გრამატიკა (1889 წ.), რომელიც ღვთსაც ერთ საყურადღებო სახელმძღვანელოდ ითვლება. 1896 წ. ჯერ გურია-სამეგრელოს, ხოლო შემდეგ (1904 წ.) იმერეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ გამწესეს, სადაც ქართული ენის სწავლება გააჩნდა, თუმცა სდევნიდენ კიდეც და სამსახურიც 1911 წ. იძულებით დატოვა (სხვათა შორის, უსაყვედურეს—„რუსული ენა ცუდათ ისწავლება“). ბოლოს პიტრიმ ექსარხოსმა ეპ სკოპოსობა შესთავაზა, მაგრამ არ იკისრა და საისტორიო შრომას მიჰყო ხელი.

მრავალ საგანთო წერილის გარდა, დაწერილი აქვს რუსულად: 1) Святѣйшій Синодъ при Петрѣ Великомъ (1884 წ.); Философiя Платона (188 წ.). ქართულად შეადგინა კატალოგი საეკლესიო და წ. კ. ს. მუზეუმებისა, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები და სხვანი, მაგრამ იგი უმეტესად ცნობილი იყო როგორც ქრონიკების შემკრებ-გამომცემელი... დიდს ყურადღებას აქცევდა საქართველოს სიძველეთა შეკრება-დაცვას. სხვათა შორის მან მოიგონა ძველი მონასტრების ნახატ-ფრესკების გადმოხატა, რასაც ბეჯიდათ შეუღდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება. ქრონიკებისა მხოლოდ ორი დიდი წიგნია გამოცემული (1893,—7 წ.).

ბოლო ხანებში დასწერა ამოკლე სიტყვა დიდ საქმეზე და „არაბების შემოსევა საქართველოში მე-VIII ს. უკუნეში“. იგი ცნობილია პრაქტიკულ მოღვაწეობითაც: აგროვებდა ქართულ კულტურის ნაშთებს (დადოდა, მოწაფეებს აგროვებინებდა), შეადგინა ფირფიტების კოლექცია, ერთერთი დამაარსებელია ქართ. გიმნაზიის სასკოლო საზოგადოებისა, საეკლესიო მუზეუმისა და სხ.

თ. დ. ჟორდანი ქაბუკურის გატაცებით
ემსახურებოდა სამშობლო ისტორიის კვლევა-
ძიებასა და ერთისა უკეთესო მკოდნეთაგანი
იყო ქართული საერო და საკლესიო ისტო-
რიისა...*)

თედო ჟორდანი იყო ერთი იმ ქართვე-
ლთაგანი, რომელნიც ჩვენის ქვეყნის გამრუ-
დებულ ხვედრის წყალობით ორ ცეცხლ შუა,
ზღვასა და ფრიალო კლდის შორის მოქცე-
ულან. გარედან თუ უცხო ქერქს ატარებენ
შიგნიდან, გულით სამშობლო ქვეყნის სიყვა-
რულს ღრმად განიცდიან, მამულის უკეთეს
მერმისს შესტრფიან და თავისებური შეგნე-
ბით ემსახურებიან, მიუხედავად იმისა, რომ
ორივე მხრით იღვენებიან: თანამემამულეთა-
გან, როგორც მთავრობის სამსახურში მყო-
ფნი, მთავრობისაგან, როგორც სამშობლო
ქვეყნის ერთგულნი შეიღწიან..

ვისც პური სქამო, მისივე ხმალი იხმა-
რეო, იტყვიან ჩვენში. თედოსაც შეეძლო,
როგორც არა ერთი და ორი ქართველი ირ-
ჯება, ასევე მოქცეულიყო, მაგრამ არა: იგი
სამშობლო ქვეყნის სევდას მარად გულით
ატარებდა, ამ საქვეყნო სევდის შემსუბუქე-
ბისთვის, ე. ი. სამშობლოს გათვითცნობიერე-
ბისათვის იღვწოდა. და თუ მასზე მეტი ვერ
შექმნა, რაც დაგვიტოვა, ეს მის წინააღმდეგ
გამართულ ქვებუნდობისა, მისი ღვენის
ბრალისა...

თედო არ იყო მყვირალა, ვერც ვო-
დებული წუთის გმირი, მაგრამ მისწავლებლო-
ბის და მეთვალყურეობის დროს კანონიერ ნი-
ადაზე მჯვარი მოქმედებით ყოველთვის სა-
მშობლო ქვეყნის ინტერესებს იცავდა.

მისი მოწყალებით იყო, რომ სასულიერო
სემინარიაში ქართლი ერის კათედრა და-
ფუძნდა.

მისი მეცადანობით იყო, რომ სამეგ-
რელოს სკოლაში ქართულ ენა განამტკიცეს,
თუმცა სწორედ მას უკიჟინებდნენ—ქართული
ენა მოსპოვო.

*) ამოღებულია გასული წლის „თ. და ც.“ №
43 ჩემივე წერილ დან „სახაჯადო მოღწენი—
თ. ჟორდანი“. ავტ.

მისი კანონიერ ნიადაგზე შეუღრქველ
ბრძოლის საბუთები დღესაც მრავლად ინ-
ხება საეპარქიო საბჭოს და სხ. არქივებში...

როგორც მოხელე, მართებლობას ემსა-
ხურებოდა, მაგრამ ამავე დროს გონივრულად
იცავდა თავის ერის უფლებათ...

როგორც მასწავლებელი, მართო ქართულ
ენის ვიწრო პროგრამით არა კმაყოფილდე-
ბოდა, არამედ თვის მოწაფეთა გულში ღრმად
ნერგავდა სამშობლო ქვეყნის ისტორიის,
მწერლობისა და მისი სამსახურის სიყვარულს...

როგორც ისტორიკოსი, სამშობლო ქვე-
ყნის წარსულის მკვლევარი ხომ საყოველთაოდ
ცნობილია, ვითარცა ღრმა მკოდნე...

როგორც მიჯნურს სატრფო გულისა,
როგორც მეოსანს მომწიფებელი, მაგრამ ჯერ
ქალაქზე გადუღებელი ლექსი, თედოს ისე
უყვარდა სამშობლო ისტორიის კვლევა...

ამ მხრით მისი შრომა ფრიად საყურად-
ღებოა.

მას ღრმად სწამდა, რომ ვიდრე საქარ-
თველოს ისტორიის მასალები, ძველი სიგელ-
გუჯრები, წერილობითი, მხატვრობითი, ნიე-
თიერთობითი თუ სხვა ძველები არ შეიკრიბება,
ისე სრული ისტორია არ დაიწერებოდა და
ამიტომაც დიდის ხალხისი უყრიდა თავს ასეთ
ნაშთებს...

აი როგორ ახასიათებენ თ. ჟორდანის
სხვა და სხვა ცნობილნი და ყოველად სანდო
პირნი:

პიტრამ მიტროპოლიტი—ჩაეხენა სამარეს
შვენება და სი მაყო საქართველოსი; ჯეონიდ
ეპისკოპოსა—იგი იყო უწარჩინებულესი ქარ-
თველი არქეოლოგოს-ისტორიკოსი; ნ. მახს-
თაძე (დიარქტორი 2 საკ. სასწ.) იგი იყო
თვალჩინო სამეცნიერო-საპედაგოგო ძალა,
დიდად განსწავლილი და მომზადებული, თვისი
ხალხის ენისა და ისტორიის მკოდნე, მოზა-
რდი თაობის სულის მესაიდუმლე, თვისი მო-
წაფეთა გული მტკივნეული მზრუნველი...

ამ სამიოდე წლის წინად დავით ებისკო-
პოსმა ხომ საქვეყნოდ გაამართლა—ერთგული
მამული შეიღწიაო.

და მიუხედავად ამისა, მაინც დაუნდობ-
ლად სდევნიდნენ, თუმცა ბოლოს ჩვენის ქვეყ-

ნის შვილთ, — მათ შორის სულმნათმა აკაკიმაც, თვისი შეცდომა აღიარეს უსაბუთოდ იდეგნებოლიო...

მაგრამ იყო ნაწილი, რომელიც ამ ქალარა მოსილს და სამშობლო ქვეყნის სიყვარულით გულგახურებულ ადამიანს მუდ მქვაგუნდას უშენდა.

ჩვენებურმა გაუტანლობამ, ქირდენამ და აღუნა, ჩახლიჩა იგი და ეს ჩვენის ისტორიის ცოდნის სალორო, დიდი განძი ჯერ კიდევადრე, სრულიად მოულოდნელად ჩააქრო...

ღვინობისთვის 22 დილით კაიგსგუნებაზე იყო, მხიარულობდა... მადლობა ღმერთს, კარგადა ვარ, მოვეწყე და ახლა-კი განვაგრძობ საქართველოს ისტორიის წერასო... გავიდა ბაღში სასეირნოდ, სადაც უცებ წაიქცა და სულიც განუტევა. *)

აწი მაინც ტკბილად განისვენე, მარდღენილო, სამშობლოს მოყვარულო შვილო: შური და ქირდენა ველარ მისწვდება შენს, წინად გრძნობიერ, მაგრამ აწ გატეხულ, გულს, — ჩვენს სამშობლოს მოღრუბლელი ცერთხელაც იქნება — გადიწმინდება და შენც ღირსეული მოგეზღვება.

საუკუნოდ ინება ხსენება შენი!..
იოსებ არიმათიელი

*) ღვინობისთვის 22 რიცხვი მის სიცოცხლეში საბედისწერო იყო; ცოლი და შვილიც ამ დღეს გარდაეცვალნენ.

მღუმარება

(შორეულ მეგობარს)

როდესაც ჩვენ ბნელით მოცულ ოთახში ერთად ვზივართ და მხოლოდ თვალითა სხივებით ვსწვდებით სიღრმეს ურთ-ერთის სულიისას და სული ჩემი შენს სულს უახლოვდება, მე მსურს, მეგობარო, გაუწყო გულის ნადები ჩემში, მინდა შეგატყობინო, თუ რას ეძიებს აზრი ჩემი, რას ეძახის დაობლებული სული ჩემი...

მინდა... მაგრამ...

ვსლუმვარ, მეგობარო, რადგან სუსტია სიტყვა გადმოგცე ძახილი ჩემის სულისა; მას არ ძალუძს გამოხატოს გრძნობათა ღელვა.

ბნელია კუთხე ადამიანის გულისა და სუსტია სიტყვა გაანათოს კუთხე იგი...

არ ძალუძს ეს მე, მეგობარო, და ვლუმვარ... ვსლუმვარ!

ვსლუმვართ ჩვენ ორივენი...

მაგრამ იცი, რა დაღია ჯადოსნური სამეფო მღუმარებისა?

და რათ გინდა სიტყვა ცბიერი, სიტყვა გესლიანი და მაცდური? უკუაგდე ის. დაე, მღუმარებამ მოიცვას ბაგენი შენი და ნუ მოშხამავ სიტყვით წმინდა გრძნობათა ნაზთაიგულს.

ქამსა მღუმარებისას გაიგებ შენ, თუ რას ეძახის სული ჩემი. გაიგებ მის სევდას, გაიგებ თუ რით იტანჯვის გრძნობა და რას ეძიებს დაუღალავი აზრი მძიებელ ადამიანისა...

და დაკარგულათ ჩასთვალე შენ დღე იგი, როდესაც მღუმარებას არ მოუცავს ბაგენი შენი, მღუმარებით არ გისაუბრია შენს სულთან...

ნუ გეშინიან მღუმარებისა, ვინაიდან აგია დასაბამი ბრწყინვალე საქმეთა, იგია აქვანი, წმინდა გრძნობათა გამზრდელ გამფურჩქენელი.

ღიაღია მღუმარება, და საშინელიც არის იგი, ვინაიდან მღუმარებაში სწყდება სიმები იმ ზღაპრული ქნარისა, რომელსაც სიცოცხლეს ეძახიან, მღუმარებაში იწერება შავი ფურცლები შენის ცხოვრებისა და სამარადისო მღუმარება შთანთქავს მას...

საშინელია მღუმარება, ვინაიდან ამ მღუმარებაში გაიგონებ შენ ჯოჯოხეთურ ხარხარს ცხოვრების ჯალათისას და შავი მღუმარება გაქცევს შენ უფერო აბარაობად...

მაგრამ... მაინც გიყვარდეს მღუმარება, ვინაიდან მხოლოდ მასში ჰპოვებ შენ ძლიერებას შენსას, ვინაიდან მღუმარებით ჩახედავ სულის სიღარიბეში და დაინახავ სახეს ადამიანისას... მღუმარებდე შენ მეგობარო!

და დაკარგულად ჩასთვალე ის დღე, როდესაც შავ მღუმარებას არ მოუცავს განუსაზღვრელი სიღრმე შენი სულისა.

და მღუმარებდე შენ, მეგობარო!

ნ. მიწიშვილი



ვლადიმერ სტაროსელსკი

ხოვანმა, წარმოსადგემა კაზაკმა მარდათ გამოაღო კარი და პირდაპირ გუბერნატორის ოთახში ამოეყავი თავი.

გუბერნატორი მაგიდასთან იჯდა და ქალღმერთებს ათვალისწინებდა

ერთი ნაბიჯი გადავდგი და გაგჩერდი.

გუბერნატორი წამოდგა, შემომაჩერდა, ნახევარი ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ და შედგა.

არც სალამის, არც ხელის ჩამოართმევის ღირსი არ გავხდრ!

ან კი რათ უნდა გავმხდარვიყავი?!

ისიც ჰენერალი და მარტო ჰენერალი ხომ არა, — გუბერნატორი! და მარტო გუბერნატორი ხომ არა, — რუსეთის გუბერნატორი!!

მე კი... მეც რუსეთის ქვეშევრდომი ვიყავი! რის ქვეშევრდომი, — მონა!

რუსეთში არიან გუბერნატორები, ბოქალეები, სტრატეგები და მონეი!

გუბერნატორი ქლარა იყო, მაზილიანი სახისა, უბოროტო, კეთილი გამომეტყველებისა.

ის კი მაინცა და მაინც სცილილობდა, ყველა ეს ღირსება დაემაღლა და ჩემზე შთაბეჭდილება ნოცხუნია.

— თქვენა ხართ ექიმი გომართელი? დავრწმუნდი, რომ ზრდილობას არ იყო მოკლებული: თქვენაობით მომხართა და არა შენაობით, თუმცა მას, როგორც რუსეთის გუბერნატორს, სრული უფლება ჰქონდა, შენაობით მოემართა: რუსეთში ხომ გუბერნატორები თვითონ ჰქმნიან უფლებებს, კანონებს, სავალდებულო დადგენილებებს და სხვა და სხვა

— დიად, მე გახლავარო.

— მე დანამდვილებით გავიგე... და ჩამომითვალა გუბერნატორმა, რაც გავგო.

— თქვენო აღმატებულებავ...

— რის აღმატებულებავ, აღარ დამაცალა ჭკუთაისის პომპადუმა: მე თქვენ გაფრთხილებით, თუ ყოველივე ამს არ დაანებეთ თავი, გადაგასახლებით.

— თქვენო აღმატებულებავ...

— კარა, ჩემთვის თქვენი საბუთები საჭირო არ არის. მე თვითონა მაქვს ჩემი საბუთები თავს უფალი ხართ,

ნამდვილი ნაპოლეონი, არც მეტი, არც ნაკლები!

მეც გამოვტრიალდი ისე, როგორც შეეფერება დიდი რუსეთის ქვეშევრდომს, და გამოველ გარეთ...

დრონი იცვლებიან!

განვლო მგონი წელიწადმა.

იმავე საღამომში, იგივე კარი დინჯაო გამოაღო ჩვეულებრივმა მოსამსახურემ, რომელიც მგონი ჩემზე მაღალი არც-კი ყოფილა, და მე იმავე ოთახში გაგჩერდი.

მაღალი, ხმელ ხმელი, ნახევრათ გაქალაქავებული, სათვალეებიანი კაცი დავინახე. არც ჩინები, არც ორდენები, არც წითელი შალვარი, — ჩვეულებრივი სერთუკი და ისიც არც სულ ახალი.

— აა, თქვენა ბრძანდებით ექიმი გომართელი? ორივე ხელეები გამოაშვირა ჩემსკენ და პირზე ღიმილით მომეგება.

— თქვენო აღმატებულებავ.

— ეე, რის აღმატებულებავ, დამაძახეთ ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე, მორჩა და გათავდა! — დაბრძანდით, დაბრძანდით.

თვითონ მომიწია სკამი და ორივე დავსხვდით.

ეს იყო ახალი გუბერნატორი — ვლადიმერ სტაროსელსკი.

— მე არ ჩამოვსულვარ აქ იმ განზრახვით, რომ ხალხის მოძრაობას ვებრძოლო და შევაჩერო. ეს მე არა მსურს და, რომ მსურდეს კადეც, არ შემიძლია. ჩემი მიზანია პირიქით, დავებმარო ხალხს ამ მოძრაობაში და ბთავიდან ავაცილო ის არა სსურველი, მანვე მოვლენანი, რომლებიც ასეთ მოძრაობას მუდამ თან ახლავან. — აი სტაროსელსკის ნამდვილი სიტყვები.

თავის დაპირებას ის პირნათლად ასრულებდა.

დემოკრატი, მოსაჩხლე ხალხის მოძრაობისა, ის ღრმით იყო დარწმუნებული, რომ რუსეთის განახლება მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი.

ამიტომ თვითონ იღებდა მონაწილეობას მოძრაობაში, დადიოდა ყველგან — სოფლებში,

დაბებში და ცდილობდა, რომ მოძრაობა თავიდანვე ჩამდგარიყო მტკაცუნ კალაპოტში და უბრალო სისხლის ღვრას ალაგვი არა ჰქონოდა.

არც ერთ ნაბიჯს არ გადადგამდა ისე, რომ არ დაჰკითხებოდა, სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლებს

მისი სადგომი მღვ გადაქცა ერთ-გვარ კლუბათ, სადაც თავს იყრიდნენ ეს წარმომადგენლები და სტაროსელსკისთან ერთად თათბირობდნენ.

ქუთაისში იმ დროს გამოდიოდა გაზეთი, სადაც ყოველდღე იწერებოდა კორესპონდენტები სხვა და სხვა სოფლებიდან მოძრაობის შესახებ.

— იშვრლებს ერთი ზნე გქირთ: აბაზის საქმეს რომ გააკეთებთ, თუმცისას ჰყვირითო, — მიუბნებოდა ერთხელ. მშვენიერია და ფრიად სასიხარულო, რომ სოფლებს ასე ეღება მოძრაობა, მაგრამ რასაკვირია ამისი წერ გაზეთში? ზევრი აკეთეთ, კიდევ მეტი, ვიდრე აკეთებთ, ხოლო ნუ იყვირებთო.

სამხედრო პირებს, კახაკებს სტარ-სკი სძულდათ.

— ერთობის გუბერნატორი, წითელი გუბერნატორი კახაკები უძახდნენ მას.

იყო ისეთი მომენტი ქუთაისში, როდესაც კახაკებსა და ხალხს შორის შეტაკება და სისხლის ღვრა აუცილებელი იყო.

სტაროსელსკის დღე და ღამე არ ეძინა.

მან მოახერხა იმდენი, რომ კახაკებს კახარებიდან აღარ უწევდნენ და ამავე დროს შუამდგომლობა აღძრა, რომ იქინი ქუთაისიდან ჩრდილო კავკასიაში გადაეყვანათ, და კიდევ მიაღწია მიზანს: მოვ და ვორონცოვის განკარგულენ კახაკთა პოლკების პიატიგორსკში გადაყვანის შესახებ, მაგრამ სანამ ეს განკარგულება სისრულეში მგვიდოდა რეაქციამ გაიმარჯვა.

— როდესაც კახაკები აქედან წავლენ, ხალხის მოძრაობასა აქ მტერი აღარ ეყოლებია! აი სტაროსელსკის სიტყვები.

ქუთაისის გუბერნიაში მოძრაობამ სწრაფათ და დიდზე გაშალა ფრთები. ამავე დროს ასეთ დიდ მოძრაობასთან შედარებით სისხლი ძალიან ცოტა დაიღვარა და მოხდა უმთავრესად სტაროსელსკის წყალობით.

იმის ალაგას რომ სხვა ვინმე ყოფილიყო ქუთაისში, საშინელი სისხლის ღვრა ატყდებოდა და ბევრი ხალხი დაიღუპებოდა. მოძრაობის გაღრმავება, გაზრდა და რაც შეიძლება ცოტა მსხვერპლი — აი სტაროსელსკის მიზანი.

ხალხმა მალე იცნო სტაროსელსკი და შეიყვარა ის.

მუშებმა რამდენჯერმე დააპირეს მისი ეტლიდან ცხენების გამოხსნა, რომ თვითონ შემზღლიყვენ შიგ და ამითი გამოეხატათ მისდამი სიყვარული და პატივისცემა, მაგრამ ასეთ განზრახვას პარტიების მეთაურები გადაელობენ წინ: რაც უნდა იყოს, მთავრობის მოხელეა და ასეთ ხანაში პროლეტარიატს არ შეშვენის, გუბერნატორს ოვაციები გაუშართოსო.

იმას უყვარდა ხალხი, უყვარდა მოძრაობა და სწამდა მხოლოდ ხალხის მოძრაობით მოპოვებული უფლებანი.

— თქვენ გწამთ ხალხის სრული გამარჯვება? ვეკითხები მას.

— ახლა შესაძლებელია. ხალხმა თავის მიზანს ვერ მიაღწიოს, მაგრამ საბოლოო გამარჯვება კი მწამს შეურყეველად. უამისოდ ჩემი აქ ყოფნა დიდი სისულელე იქნებოდა.

— ჩემის აზრით მაინც არ უნდა მიგელოთ ეს თანამდებო ასეთ ხანაში.

— რატომ? შესაძლებელია დავიღუპო?

— დიდა!

— მერე რა ვუყოთ! თუ კი საერთო საქმე გაიმარჯვებს, მეც დავიღუპო.

მართლაც დაიღუპა საპირადო კეთილდღეობის გზაზე, მაგრამ ხალხის გულში უკვდავი ძეგლი დაიდგა, მოძრაობის ისტორიაში დიდი ასოებით ჩაიწერა.

დაულალავი, შეუპოვარი, უშიშარი, გაუტყბელი, გულწრფელი, კეთილშობილი, აღმიანი-მოქალაქე, რომელმაც თვისი თავი, ყოველივე საპირადო მსხვერპლად შესწირა დაჩაგრულთა კეთილდღეობას.

— აი ვლადიმერ სტაროსელსკი. ის ღირსია საუკუნო ხსენებისა და ექანება კიდევ.

ვ. ბერიძე



ლტოლვა

როს სალამო უამს მაგდის გვერდით,
 მარტოკა იჯდე დაფიქრებულა
 და შენს პაწია წმინდა ოთახში
 სიჩუმე იყოს გამეფებული,—
 ამ დროს მოგესმას გარედან უცებ
 კარის რაკუნი, კენესა, წუხილი —
 გახსოვდეს: ჩემი აჩრდილი არის,
 შენს სათაყვანოთ გადმოხვეწილი!

თავ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი პოლოვნიკი.

თბილისის გუბერნიის თავ-აზნაურთა მარშ ლად მე-
 ორედ არჩეული, გასულ კვირას პეტროგრადში არჩეულ
 იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად. დისწულია ილია
 ტავკევაძისა, განათლებული კაცი და სამშობლო ქვე-
 ყნის ვითარების კარგად მცოდნე. უკანასკნელ საეროზო
 თაბირზე იგი იყო მეუმრავლესობის ერთი ბელა დთაგა-
 ნი, 48 წლისაა, ჯანდონით სავსე. უკანასკნელ ომში
 11 თვე მონაწილეობდა, მიღებული აქვს რაედენიმე ჯი-
 ლდო იგივე ითვლება სხვა და სხვა საზ-ის თავმჯდომარედ.

ღ ი ლ ე

- დან ელდა,
- დაფერფლდა
- ღამე საზარო.
- გათენდა.
- აქლერდა
- ფრინველთ სამყარო.
- ატოკდა,
- აროკდა
- ბუჩქი, ფოთოლი.
- ასხივდა,
- ამძივდა.
- ნამი ობოლი.
- მოფრინავს
- მობზინავს
- მზის ოქროს გემი
- და გული,
- დაგული,
- შეებას გრძნობს ჩემი!

ვ. რუხაძე

როცა ბალიშზე ოცნებით სავსეს
 თვალი მოგტაცოს დესპანშა ძილის
 და ჩამოგკიდოს ხშირ წამწამებზე
 მარგალიტები, ვით ცვარის დილის—
 თუ ამ დროს იგრძნო ტკბილი შეხება,
 ჩუმი აღერსა და უტყვი ვნება.—
 გახსოვდეს: ჩემი სულია იგი,
 ფარვანასავით გარს რომ გვევლება!

თუ თვალ-დახუტულს ბნელსა ღამეში
 სიზმრად სანთელი მოგეჩვენება,
 იწვის ის შენს წინ, რომ მოგეშუქოს,
 იწვის და თანაც იღვია—დნება.—
 იცოდე: ჩემი გულია იგი,
 შენთვის ზვარაკად გადაქცეული,
 ჯოჯოხეთის აღს აღარ გაურბის,
 თვითონ სამოთხით გამოქცეული!

ნაკუწ-ნაკუწად შე მას დავტრიდი,
 აღარ დავწვავდი, გაფაცივებდი,
 ყაითნად გრძნობის ძაფებს დავგრებდი,
 ზედ ავკანძავდი, ავამძივებდი,
 თუ რომ ვიცოდე, მას კრიალოსნად
 ათამაშებდი, ხელთ დაიჭერდი,
 ხან სამაჯურად შამოირტყამდი,
 ხან კი შეცდომით მკერდს დაიდებდი.

ფ. რუშაგელი



Handwritten signature and date: 1921



დემ. კორნილე კეკელიძე
პირველი ქართველი რექტორი თბ. სას. სემინარიისა
(მიწვეულ იქმნა ორი კვირის წინად).

დემ. კორნელი კეკელიძე

1811 წელს, საქართველოს ეკლესიამ და-
ქარგა დამოუკიდებლობა. გენ. ტორმასოვის
ბრძანებამ ივერიის ეკლესიას სამგლოვიარო ძა-
ნაწება.

საქართველოს კათალიკოსი ანტონ II და
ქუთათელი მიტროპოლიტი ტავ. ჩრდილოეთი-
სკენ გასვირნეს, ხოლო ახალ მაკურთხეულად და-
ნიშნეს ვინმე თეოფილაქტე, რომელმაც უცნაუ-
რო სიკვდილი იკვამა წმ. ნინოს საფლავთან — ბო-
დბეში. შეიფარდა ძირითადი წესწილობილება ხევი
ეკლესიისა და დაღუპვის უფსკრულს ჩაექანა. გა-
ქრა მისი სახარკო სიმდიდრე და მრავალ რიც-
ხოვანი ქანება ჩამოეცადა მას. სიღარიბის სამო-
სჯით შეიმოსა და ძალაუნებურად გახდა მსახუ-
რი უზნეობისა.

თავად-აზნაურობის მიერ გაშლილ 30 წლე-
ბის მხიარულ სუფრასზე ქართველი სამღვდლოე-
ბაც იღებდა მონაწილეობას, თუმცა მას აქტიური
მონაწილეობა არ მიუღია საქართველოს გასოი-
დგაში; პირიქით მისგან უფრო ვანსკოვს მეტო
თავდადება მისი აჩნეობისთვის. მაინც საერთო
ძილმა გაიტყუა და ქართველი სამღვდლოეობაც
ძილს მიეცა ქართველის სმჯთან ერთად... თუ
აღარ გვეყვანდნენ გზირები მამულისა, თუ სამშო-
ბლოს დიდებისა და პატივის შარავანდედი ჩა-
მოეცადა, საჭირო იყო სამღვდლოეობის ღმობიე-
რი მაგრამ მწერალი ხმა; საჭირო იყო ზიმენ
საღოსი, რომელიც განაშიშვლებდა და ამხილებ-
და თავად-აზნაურობის საქციელს; საჭირო იყო

შეგავებინა ხელი, რომელიც საბოლოო უმის
ზურგზე უწყალოდ შოლტს ატულაშუნებდა, სა-
ჭირო იყო, შეეკრათ ახალციხის გზები, საითაც
მიერგებოდნენ ქართველ ეპისკოპოსს, რომელსაც გა-
ყინიანებული ბატონი სანადირო ძაღლებში სტე-
ლიდა, მაგრამ „ასსიდან ხმა“ და მუდმივ ფრთხი-
ლი და დარაჯი — საქართველოს უზნეობისა —
სთვლემდა მრევლთან ერთად...

მაგრამ ღირეკა მე-60 წლების ზარი, შე-
ტორტმანდა ხვენი მდარე ცხოვრება, გამიხნდა
გაბრიელ რქობიერი და მოყუენენ სხვანინც, რომ-
მელნიც მე-60 წლების მოღვაწეობთან ერთად ზრუ-
ნავდნენ დაგერეულ სამშობლოსთვის. ახალგაზრ-
დობის ბანაკი დღითი — დღე იზრდებოდა და თვი-
თვეული მისი წვერი უფრო დიდი ენერგიით
კვიდებოდა საქართველოს საქმეს...

დემ. კორნელი კეკელიძე, პირველი ქარ-
თველი რექტორი თბილისის სასულიერო სემი-
ნარიისა, ამ ბანაკის კარავში ბინადრობს...

იგი დაბადებულია დარბო მედავთინის რუხა-
სში (ს. ტობანიერში — 1679 წ.). თბილისის
სასულიერო სემინარიის ბრწინვალედ დაასრულა
და სხელმწიფო ხარჯით იქმნა გაგზავნილი კი-
ევის სას. აკადემიაში. აქ იგი სწერს საკანდიტა-
ტო თხზულებას: „Литургические грузинские
памятники въ отечественныхъ книгохра-
нилищахъ и ихъ научное значеніе“. ამ
ფრთხად შესანიშნავ შრომაში მან შიადო მადის-
ტრობა. სამშობლოში ჩამოსვლისთანავე იგი
აღიკვეცა მღვდლად და ქუთაისში დეკანოზობის
შემდეგ — 1906 წელს 3 ანგარს დაინიშნა თბი-
ლისის დედათა სემინარიის სასწავლებლის ინს-
პექტორად.

მ. კორნელიძე დიდად იღვწა აქ და ნამ-
დიდელ ეროვნულ სასწავლებლად გადაქცია იგი.
ახლა კი ბედმა უფრო ფართე ახმარეზი გადუ-
შალა თვალწინ — სხელდობრ სემინარიის რექ-
ტურა. თბილისის სემინარიის ერთად ერთი
სასწავლებელი იყო წარსულის შიგნულ ღრობში,
რომელიც თავის ჩაბნელებულ კვლევებიდან გა-
წვდიდა ნათელ აზრებით გამსწავლულ ახალგა-
ზრდობას. თამამად შეიძლება ითქვას — მან აღ-
გვიზარდა წარსულ საუკუნის ქართველი ინტელი-
გენტის. დღეს კი, ამ სასწავლებელში ქართული

სასკელი თითქმის მიმქრალა, საჭირთა მისი აგზნებისა—აი, რა შეუძლია მ. კორნელის მოდუგვებას.

მაგრამ აქედან კვებულები საინტერესოა, არა როგორც პირველი ქართული რეპერტორი თბილისის ხეყმანისა, არამედ როგორც მეტეორი, რომელმაც ამ მოკლე ხანში თანისთანობით გამოამზეურა ქართული საეკლესიო მწერლობის საუბრე. დღევანდლამდე მას 22 ძვირფასი საინტერესო ტომი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის ფრანგულად გადათარგმნა მისი „Симеонъ Метафрастъ по грузинскимъ источникамъ“ ხოლო ინგლისურად „Древне Грузинскій Архіератиковъ“. ხალა სამეცნიერო აკადემიის სარჯით მინდობილი აქვს ვრცელი სერვისი

„Studia hagiographica deorgia“-ის დაბეჭდვა. ამას გარდა იგი მხურვალე მონაწილეობას იღებს ქართულ ხადკთისმისასურთ წიგნების შესწორება-გამოცემაში. ხოლო როგორც გადმოგვცემენ (გაზ. „საქართველო“ № 224), დღეს იგი მუშაობს სადოქტორო თხზულებასზე: „ეკლესიისტის განმარტება“—მიტ. სმირნელისა, თარგმანი ქართულ ფილოსოფიის ივანე პეტრიწისა. მწერლობითი მოდუგვების გარდა მასვე ვხვდებით მთმუშავე წიგნად ადგილობრივ სამეცნიერო დაწესებულებებში. ჯერ იგი სრულად ახალგაზდაა, ვუსურვებთ მისი მადლიანი მარჯვენა საქართველოს საქმისათვის არ დახრდიოეს...

ალა ნორიელი

ელეონორა

ელეონორა! შენა ზღეროდი და თეთრი ტანი მარშარილოსი ისე ტოკავდა და ირხეოდა, ვით ზღვის ფერია, ტყის ანგელოსი... და შეგიყვარე... და შემეყვარა ნაზ ჩუქურთმებად აყრილი ტანი, ვით ჩემივ სახე, ყრმობის დი ილით, ცისფერ ტილოზე გადანატანი, მაგრამ, ოცნებავ, თვალთა სიცილით წამოხველ ჩემსკენ, გამოსრილი და, ვით ნიავეზე ყვავილთა დასტა, ისე ასტოკდი, წამოშრილი და მიახარ:—წადი და დღის შემდეგ გადამავიწყე, იყავი შორა! — მე ეს ამბავი დღესაც არ მჯერა, ელეონორა!.. ელეონორა!..

ვეფხო-ფშაველი

მძინარე არწივი

სძინავს არწივს! მრავალ-დროთა ტანჯვით დაქანცულს, სძინავს დაჭრილს! სამარადო ომში დაცემულს.

სვანნი-კი.. სვანნი უმაძლარნი თვალებს ჰკორტნიან, ქია-ლუანი ესევინ, წყლულებს უღრღნიან.

ჰაუ, არწივო! გაიღვიძე, გაშალე ფრთები, გაჰკარი კლანკი! შემუსრევი მოსისხლზე მტრების!..

ს. ერთაწმინდელი



ი კ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი

გაგრძელება იხ. „თ. და ც.“ № 43

ლონ იმან. დიახ, მთელი ერი, რომელიც ცხოვრობდა წინედ თავის მშვენიერ ქვეყანაში, საცა სუფევს მუდმივი გაზაფხული, და ცხოვრობდა ლალად, ბედნიერად და არ გნეცადნა არა ფერი უბედურება. მაგრამ შესკოდა ზეციერ მამასა ჩვენსა, მამასა ყოვლის აღამის ძათა და განურისხდა უფალი ფრიად და განსდევნა თავის ქვეყნიდან და ახლა ილტვისკილით-კადმდე. მართალია, ახლა უკვე მოიქცა უფლის მიმართ მთელი გულით; მაგრამ უფალმა დაადგინა, რომ მხოლოდ იქნება, რთცა აღივსება ქვეყანა ღვთის მცნებით, და ყველა ძენი კაცისანი დაიკავენ მის მოძღვრებათ, და კანონებს, მხოლოდ მაშინ ეშველება იმ საბრალო ერსაც. ამასობაში დაძრწის აქეთ-იქთ, ქვეყნიდან ქვეყანაში, ქლაქიდან ქალაქში და ითხოვს მოწყალებას, მაგრამ ყველა ერთი გულ-ქვანი არიან, უარს ჰყოფენ მის ვედრებას და სდვენიან თავიანთი ქვეყნიდან.

კლ. ჩვენ მშვენიერ ქვეყანაშიც იყო?

ლონ იმან. დიახ, ისპანიის ქვეყანაშიც იყო.

დიეგო და კლარა (ერთად). აქ, რასაკვირველია, მოწყალებას მოიღებდნენ მათზე?

ლონ იმან. არა, არ აქ მოიღეს. მათზე მოწყალება; აქ უფრო უდიერად მოგპყრენ სანამ სხვა ქვეყნებში.

დიეგო. მერე რატომ მეფესთან არ წავიდა საჩივრელად?

ლონ იმან. მეფესაც მიმართა, მაგრამ არც მან შეცბრალა.

დიეგო. ნუ თუ მეფე ბოროტი კაცია?

ლონ იმან. მეფეს დიახ სურდა მოეღო მათზე მოწყალება, მაგრამ გამოჩნდნენ ბოროტი და ცოდვილნი ადამიანნი, რომელთაც მეფეს ცუდათ ჩაასმინეს და მეფე იძულებული იყო, ებრძანებინა: განდევნეთ ჩემი ქვეყნიდანო.

დიეგო. სად არის ახლა ის ერი?

ლონ იმან. უმეტესი ნაწილი მის შვილთაგანი მოშორდნენ ამ ქვეყანას და დასტოვეს აქ მთელი თავიანთი ქონებ-ცხოვრება, რომე-

ლიც შიშოვებული ჰქონდათ შუბლზე ოფლის მოწურვით და დიდი შრომით, და განილტვენ საძიებლად სხვა ნავთსაყუდელსა, მაგრამ ბევრს არ შეეძლო ამ ქვეყანას განშორებოდა, რის გამოც იძულებულნი გახდნენ, მოეჩვენებინათ თავიანთი თავი მეფის მონებად, იმ მეფის შვილისაგით, რომელზედაც ვიამბეთ და მხოლოდ მაშინ დართეს ნება დარჩენილიყვნენ აქ, მაგრამ მათი სიცოცხლე მუდამ საფრთხეშია; რომ გაიგოს მეფემ მათი ვიანობა, მაშინვე ბრძანებას გასცემს, დახოცონ.

დიეგო დახოცონ! ოჰ, რა საცოდავნი არიან?

კლარა (ტრემულ მარეუდა). ოჰ, რა საშუებაოა.

ლონ იმან უფელ. ჰო, მართალია, ძალიან საცოდავნი არიან, ძალიან; მაგრამ კეთილნი და წრფელნი, იმ დროს როდესაც მათი მტერნი და ბოროტის მადიებელნი არიან ბოროტნი და უღმობელნი.

დიეგო. ვინ არიან?

ლონ იმან. ამ ცოტა ხანში მაგასაც შეიტყობთ. მხოლოდ ახლა პასუხი მომეცია ერთ კითხვაზე: რას არჩევდით, ჩემო საყვარელო შვილებო: იმას, რომ ყოფილიყავით შვილნი იმ საბრალო და კეთილი ერისა, რომელიც არ სცოდავს უფალს და არავითარ კაცს არას ერჩის, თუ იმას, რომ ყოფილიყავით შვილნი იმ ბოროტ და სასტიკ ერისა და გედევნათ კეთილი და წრფელი ხალხი?

დიეგო. (დაფიქრდება ერთ წუთს) მე ვარჩევდი გყოფილიყავ კეთილი წრფელნი.

კლარა. მე არას გზით არ ვისურვებდი კეთილი ადამიანებისთვის დამეშაფებინა რაღე.

ლონ იმან. კარგი შვილებო. მე თავიდანვე ვიცოდი, რომ მაგას მომიგებდით. მაშინ იცოდეთ, ჩემო საყვარელო შვილებო, რომ ის ერი, რომელსაც შესახებაც ვიამბეთ, ეს-ე-ა ახლა, ის ერია ებრაელები. ებრაელები.

დიეგო და კლარა. (გატყუებულნი) ებრაელები?

დონ-იმან. ჰო, ებრაელები. წინედ, რა-მდენიმე ასის წლის წინად ებრაელები ცხოვრობდნენ თავიანთ ქვეყანაში, ებრაელთა ქვეყანაში, მშვენიერ პალესტინაში, რომლის შესახებაც ბევრჯერ მიამბნია თქვენთვის, და ცხოვრობდნენ იქ ლაღად, ბედნიერად. მაგრამ იმათ შესტოდეს ღმერთს, განსდევნა თავიანთი ქვეყნიდან და დაატყვევა უცხო ქვეყნებში; მას აქეთია გაფანტულნი არიან, დაძრწიან და ილტვიან მთელი დედამიწის ზურგზე, საცა მივლენ, აწუხებენ, და სდევნიან, ვინაიდან ქვეყნად მოიპოვება ბევრი ბოროტი და შეუბრალებელი ხალხი. ხომ ბევრჯერ გავიგონიათ, როგორ ავინებენ და ლანძღვენ, აქ ებრაელებს, მაშ დღეიდან უნდა იცოდეთ რომ ის კაცნი, რომელნიც ლაპარაკობენ ებრაელებზე ბოროტს, თვით არიან ბოროტნი და ავაზაკნი.

დიეგო. (ნაღვლიანად). სად არიან ახლა ებრაელები? ჩვენ ქალაქშიც მოიპოვებიან?

დონ იმან. ჰო, ბევრი მათგანი ჩვენ ქალაქშიც მოიპოვებიან.

დიეგო. ნახვაც შეძლება იმათი?

კლარა. რა ძალიან მინდა იმათი ნახვა!

დონ იმან. რამდენიმე მათგანი შემოდლიან ახლავეც დაგანახოთ.

დიეგო და კლარა. (იხედებიან აქეთ-იქით გაოცებით). აბა? სად არიან?

დონ იმან. (წამოდგება ფეხზე და უჩვენებს თითოთ იქ მსხლამელებზე). ხედავთ ყველა ამ კაცებს? (დიეგო და კლარა შეჭმურებენ გაშტურებით და ელიან). რა აზრისანი ხართ, შვილებო, ამ კაცებზე, კეთილნი ხალხია თუ ბოროტი?

დიეგო. რა თქმა უნდა, კეთილი და პატროსანნი. მამა მუდამ იმას ამბობს, ეს ხალხი ჩემი უახლოესი მეგობარიაო.

კლარა. ჩემთვისაც კარგი საჩუქრები მოაქვთ ხოლმე, მკოცნიან და ძალიან ვუყვარვარ.

დონ იმან. ჰო და, ყველა ეს პირნი, რომელთაც კარვად იცნობთ და იცით, რომ ძალიან კეთილნი არიან, რომელნიც გიყვართ და რომელთაც თქვენც უყვარხართ ებრაელები არიან.

დიეგო და კლარა. (გაოცებულნი). ებრაელები?!

დონ იმან. და მე, ჩემო საყვარელო შვილებო, თქვენი მასწავლებელი, რომელიც გასწავლით კეთილის ქმნას, კეთილად და წრფელად ყოფნას, თქვენი მასწავლებელი, რომელიც ძალიან გიყვართ და რომელსაც თქვენც უყვარხართ—მეც ებრაელი ვარ!

დიეგო და კლარა. (სდუმნან ადებენ პირს და ადარ ძალუძთ სიტყვის წარმოთქმას).

დონ იმან უელ. (უჩვენებს დონ-ალონსოსა და დონა-ლაურასზე). და თქვენი მშობლები, ხომ კარვით იცით რა კეთილნი, რა წრფელნი არიან და როგორ უყვარხართ—აი, ისინიც ისინიც ებრაელები არიან.

დიეგო და კლარა. (კვლად გაოცებულნი სდუმნან).

დონ იმან. (ანიშნებს დიეგოსა და კლარასზე). და თქვენ, ჩემო პატარა შვილებო, ხომ ასეთი კეთილნი ხართ, ესოდენ უმანკონი, ესოდენ მშვენიერნი და კარგნი,—თვით თქვენც ებრაელები ხართ!

დიეგო და კლარა. (თავბრუ დასსმულნი და თვალები გაგანიერებულნი შეჭმურებენ. მათი გაოცება უკანასკნელ წერტილამდე ახწყის, და შეჭმურებენ უველა იქ მსხლამთ ეჭვით, თითქოს იმათგან ელიან გაიგონ მართალია რაც ახლა გაიგეს, თუ არა).

დონ ალონსო და დონ-ლაურა (წამოდგებიან ორთავე ადგილებიდან, მოესხევიან შვილებს და ეუბნებიან შეკავებული ტირილის ხმით). დიახ, დიახ, ჩემო შვილებო, ჩემო ზავშეგებო, ჩემო საყვარელო, ჩემო ჩიტებო, ჩვენ ყველანი ებრაელნი ვართ და თქვენც ებრაელნი ხართ. ჩვენ სუყველა შვილნი ვართ იმ კეთილ, წრფელ და საცოდავ ერისა, რომელსაც მარადის სდევნის ბოროტი ხალხი, და მუდამ მიისწრაფვის მის სისხლის დასათხევად. ოჰ, ჩემო შვილებო, ჩემო შვილებო!

(უველა სტუმრები დგებიან თავიანთი ადგილიდან, შემოესხევიან მშობლებს და ემარწვილებს. რამდენიმე ეხვევა ემარწვილებს და ჰკოცნის. რამდენიმე იწმენდენ ცრემლებს).

ნ. ელიაშვილი—ბენ დავიძ
(გავრძელება იქნება)

პროვინციის მოღვაწე ქალები

(ევგლინა წუწუნავას გარდაცვალების გამო)

ღვინობისთვის 15 ქ. ოზურგეთში (გურია) შავ სამარეს მიაბარეს ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე, პროვინციაში მოღვაწე, ქალთა მოწინავე წრის ერთი საუკეთესო წევრი და ჩვენი ღირსი სტენის ერთგული მოსამსახურე ევგლინა რაუ. წუწუნავა

ვინც მას იცნობდა, ძლიერ ჩაფიქრდება, მწვავე მოგონებები გადაჰქვება და თვალ წინ წარმოუდგება ის ნარ-ეკლიანი გზა, რომელიც გაიარა ევგლინა... სევდა შეუიპყრობს, როცა ასეთი ცოცხალი ადამიანი შორდება წუთი სოფელს...

მატარებდნენ ცოცხალი მოსაქმე, დაუდევარი, მოუსვენარი ევგლინა ადრინაღ გამოვიდა სამოღვაწეო ამაზრზხნველად დაბრკოლების საზღვრები გადალახა და გატაცებით შეუდგა თეატრის სამსახურს. ეს გახლდა იმ დროს, როცა გურიის ცხოვრებაში თეატრი ახალი მოვლენა იყო, როცა ხალხს არ ესმოდა ხელოვნების მნიშვნელობა, როცა დახმარების მაგიერ დასცინობდნენ, როცა სოფელად კვლავ წყვილიანი შეფობდა...

სტენის მოყვარეთა იმ მცირე ჯგუფში, რომელიც ჯერ კიდევ 1900 წლამდე შედგა ახალგაზრდებისაგან ჩვენი აწინდელი ნიჭიერი რეჟისორის ალექ. წუწუნავას ხელ-მძღვანელობით, ოზურგეთში ქართული წარმოდგენების მართვის საძირკველი ჩაუყარა; აქედან იწყება მისი თან და თანობით განვითარება. ვინ ასწერს, ამ ჯგუფის რა გავლენა არ განუცდია ქალების უფროსების უბინობისა, ნიუთიერ შევიწროებისა, დამცირებისა და მისხრად ატლების მხრავ მიუხედავთ უოველგვარ განსხვავებისა, მან შესძლო თავისი მოვალეობის ასრულება და გურიაშიც ფრთა გაშალა სასტენო ხელოვნებაში.

ამ ჯგუფის ისტორიაში ჩაკისრვლია ევგლინას მოღვაწეობა. ის ბავშობიდან მხნელ შეუდგა სასტენო მოღვაწეობას საზოგადოების სამართლიანი უზრუნველბრ დაიმსახურა და ჩვენს სახალხო ხელოვნებაში თავის წვლილიც შეტანა აუგავებაში...

შეუდარებელია მისი შრომა ამ მხრით, დაუფასებელია მისი მოღვაწეობა, მაგრამ მხო-

ლოდ სასტენო მოღვაწეობით არ თავდება ევგლინას საქმიანობა ხალხის გათვითცნობიერებას სხვა მხრივაც ხალხისათ, დაუზარებელი შემსახურებდა თავის ამხანაგ თამარ აბაშიძესთან ერთად (თამარ აბაშიძე 1911 წ. კარდაიცვალა) ძიმე შრომის უფელში შემოული ცდილობდა ქალთა გამოფხიზლებას ქალთა წრის გათვითცნობიერებას. ხელმძღვანლობდნენ რეჟერატორული მოწეობას, მონაწილეობას იღებენ ევგლინაშვილის სამხრო კომიტეტში, ქალთა წრის დაარსებაში (ევგლინა თავმჯდომარე იყო) და სს. ერთი სიტუვით სხვებთან ერთად შრომობდნენ და საქმიანობდნენ. მათში არ იყო ეკონომი, ფუქსავატობა, სხვა ქალებივით გუჯრული ცხოვრება, დროს უბრალოთ დაკარგვა, უზრთო ყოფნა, შედიდურება, ამატარებლობა... მათ ხალხი უყვარდათ, ხალხთან ერთად მოგზაურობდნენ, ხალხს ისინი უყვარდა... ხშირათ იტყობდნენ ოზურგეთში. ეს ორი ახალგაზრდა ქალი შეუდარებელია, ეს ორი ტექნიკური ადამიანია...

თამარ და ევგლინა! ეს ორი სასულია, რომელიც დაუვიწყარია ოზურგეთის შეტანულ ხალხისათვის, ეს ორი მომქმედია, სხვების მაგალითის მომცემი...

ცხოვრების უსწორო ხეიდრმა უდროთ გამოაცალა ეს ორი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა მშობლებს, მოწინავე ქალებს, ამხანაგებს, სერთო საუარულ საქმეს, ამ ქვეყანას... მომავალი მადლობით მოისხენიებს მათ ამაც...

ახლოებული.

სიკვდილის მოლოდინში

მეორე დღეს დღით იმ საავადმყოფო განყოფილებაში შეველ, სადაც წინა დღით ქართველები მღეროდნენ, და რამდენიმე ცალი სხვა და სხვა ქართული გაზეთიც მივეუბნე საკითხავად. ისინი მოწყენილი დამიხვდნენ, დანა კბ ლს არ უხსნიდათ. მე იმათ გავეცანი, საითთაოდ ჩამოვართვი ხელი, ვინაობა ვკითხე და ბოლოს მოწყენილობის მიზეზიც გა-

მოვიკითხე. ერთი მათგანი წამოდგა წინ და მითხრა:

— გუშინ ერთ ჩვენს ამხანაგს აპერაცია გაუკეთეს. წუხელის ანთება აუვარდა თავში, ახმაურდა, ბოდვის მოჰყვა, ავადმყოფები არ დააძინა. ჩვენ კიდევ ვავიტანთ ერთმანეთს როგორც ქართველები, მაგრამ აქ ბევრი სხვა და სხვა ხალხია: რუსები, სომხები, და სხვები ყველამ არ მოითმინა, ვერ გაუძლო ხმაურობას, მთელი ღამე არ დაუძინიათ. მერე მორიგე ექიმს შეატყობიეს. მორიგმა ავადმყოფი გაშინჯა და სასიკვდილო ოთახში გადიცვანა. ამ დილით ვნახეთ, ცოტა მოხედვითაა, მაგრამ რას მოასწავებს მისი მოხედვა არ ვიცით... ექიმს უთქვამს სისხლი აქვს მოწამლულიო. ამ დღიანზე სახლში ტელეგრამა გაგვაგზავნია. იქნებ ცოცხალს მომისწრონო. საწყალი თვითონაც ატყობს თავის თავს, რომ მძიმე ავადმყოფია... იმას თუ დავმართა რამე ჩვენი დიდი დანაკლისი იქნება... ძალიან მზიარული კაცი იყო... — დაათვა და დაღვრემილი თვალებით ამხანაგებს გადახედა.

ეს ამბავი რომ შევიტყე, იმ წამსვე მივხვდი ვიზუალ ამბობდა, გამოვბრუნდი და ავადმყოფის სანახავად წავივლო.

ოთახი, სადაც ჩვენი ავადმყოფი იწვა, ვაწრო და ბნელი იყო. ჩრდილოეთით ერთი ფანჯარა საკმაო სინათლეს ვერ იძლეოდა. ნახევარი ოთახი ავადმყოფთა საბანაო აუზებს ეკირა. იატაკი კარიდან დაწყებული ცემენტისა ჰქონდა, რომელიც ნახევარ ადრამდე იყო აშაღლებული. შემოსავალ კარის ზღუბლიდან კი ჩაღრმავებული. ქერიდა ჩამოშვებული იყო ერთი ელექტრონის ლამპარი. აუზს ერთ ალავს ტყვიებით დაქრილი, მარჯვენა ხელის თითებ დაღუვჯილი ავადმყოფი უჯდა, ჩაეყო ხელი წყალში და დრო-გამოშვებით შეატურებდა ხოლმე. ჩაღრმავებულ ალავს ტახტზე იწვა ჩვენი ზემოხსენებული ავადმყოფი. ავადმყოფის შუა სარეცელთან ოარი უზურგო სკამი იდგა. ფეხებისაკენ დაბალი ოთხ კუთხიანი მაგიდა წამლებით, ავადმყოფს წინ მოწყალე და უჯდა, შუა ხნის ქალი, პირფართო, ქერა, სქელ-სქელი. ის ჩასჩერბოდ-ავადმყოფს თვალბში, თითქო მის გულის

მოდრობას მოწიწებით უგდებს ყურსო მის სახეში შებრალებს და მზრუნველობა გამოიხატებოდა ავადმყოფისადმი ავადმყოფი იწვა ტახტზე, უძრავად, ვით ლოდო. ხელები საბნის ქვეშიდან გულზედა ჰქონდა დალაგებული. სახე ცეცხლივით ანთებული. თვალები წამოწითლებული. ჩემს დანახვაზე შეინძრა, ძალზე გახილა თვალები და განცვიფრებით მომაშტერა.

— დაბანდით. მითხრა დამ და თვითონ მეორე სკამზე გადაჯდა. მე დავჯექი.

— როგორ არის? — ვკითხე ჩუმიად დას. ავადმყოფზე.

— ცუდად... საშიშია... — მიპასუხა და მწოლარეს საბანი გაუსწორა.

— მიცანი? — ვკითხე ავადმყოფს დაბალის ხით. ავადმყოფმა ამ კითხვაზე თვალები შეათამაშა, თითქო ცნობა უნდა მოიკრიბოსო და მისუსტებულის ხნით ამოილაპარაკა.

— გიცანი... გუშინ ჩემ აპერაციამ გნახე.

— ხომ წუხანდელზე უკეთესად ხარ?

— წუხანდელი არაფერი მახსოვს... მითხრეს, სიცხე გქონდაო, ახლა არა მიშავს, მგონია უკეთა ვარ... უფრო კარგად ვიქნებოდი, მაგრამ ამ ოჯახ დასატყვევებმა რაღაც წამალი დამალევიეს იმ დილას... მას მერე გულზე ცეცხლი შევიდებოდა, ანთება მიჩნდებოდა... ვიცი აქ ძალად მოკლავენ... ასეც რომ არ იყოს, ამ ოთახში მხოლოდ სასიკვდილო ავადმყოფებს აწვენენ... აქ მეშინია მოსვენება შეკარგება... უფრო ცუდად ვხდები... ავადმყოფობა ერთი ორად მემტება... მიშვილვ რამე თუ ძმა ხარ... აქედან გადაიყვანონ... ამ ალავს ჩემისთანება ბევრი გაუსტურებია ს იქაოს... რა ნახეს ჩემში იმისთანა... სასიკვდილოდ რომ გამამზადეს?...

სიტყვა მან ნაწყვეტ ნაწყვეტად და ძალზე აღელდა.

— სიკვდილის ნუ გეშინია... შენ მართო გინდა ყოფა მოსვენებით, იმიტომ გადამოვიყვანეს აქ... იქ ავადმყოფების ხმაურობა შეგაწუხებდათ. დამშვიდდი კარგად იქნები, გულში შიშს ნუ გაივლვ.

დავიმედვე ჩემი ნუგეში იმან ახლოც არ მიიკარა, ტანში შეაყრყოლა, დაიღრჩია და გაწამებულმა ენაზე იკბინა. ერთ-ხანს იყო გატვრინული, უხმოდ, თითქოს ძალას იკრებსო და ბოლოს მძიმე ამოხვრით უიმედობით ამოიკრუსუნა.

— ვიცი რაც ამბავია ჩემს თავს... — სთქვა და ენა ჩაფარდნილისავით ჩაჩუმდა. მე მაჯა გაუშინჯე. მაჯა სუსტად უცემდა.

— დილას რამდენი ჰქონდა სიცხე? — ვკითხე დაბალას ხმით დას.

— ოცდა თვრამეტ ნახევარი. — ჩამხურჩულა დამ ყურში, ავადმყოფს რომ არ გავგონა.

— დავჯერო არ მორჩება? — გაეუმეორე კითხვა დას.

— ექიმმა სთქვა არ მორჩება, სისხლი აქვს მოწამლულიო. ტანზე წითლად ყრის. თავის ქნევით მითხრა დამ. აი პასუხმა ცუდი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე. გულში ნწყმისვით მიჩხვლიტა ჩვენ ლაპარაკს ავადმყოფი გაფაციცებით ადვენებდა თვალ ყურს. უნდოდა გაეგო რას ვლაპარაკობდით. მან იცოდა რომ ლაპარაკი იმაზე გეკონდა.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა ავადმყოფის მძიმე სუნთქვა. მისი გულის დაგადუგი. და აუზში წყლის შხაპუნი. რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ გამოველაპარაკე მწოლარეს.

— სადაური ხარ შენ?

— ქუთაისის გუბერნიიდანა ვარ... სოფელ ოკრიბ დან... ცოტა შემღვინებული ხმით მიპასუხა მან.

— რამ გატვინა ყური?

ვგ. ფურცხანიძე

წვრილი ამბები

— **თ. შორაღანიას** დღეს ქაშვეთის ეკლესიიდან გაასვენებენ წირვის შემდეგ დაკრძალვენ. დიდუბეში ქართველ მოღვ. პანთონში.

— **ივ. ჭარბიამაძე** გიორგობისთვის 6 „ახალ კლუბის დარბაზში“ შუადღით წაიკითხავს ლექციას „შია მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“, 2 განყოფილება (შ. მღვიმელის ნაწარმოებთა სრული გარჩევა).

— **ხარაძის კლუბი** ღვინობისთვის 25 ახალ ბინაზე გადავიდა (მიხეილის პრ. 63). დარბაზი მორთულია, გამართულია სცენა; აქვეა სამკითხველო.

— **სურამის ღრ. საზ-ის** თავმჯდომარედ არჩეულმა გ. შალიბაშვილმა უარი განაცხადა. მისნაცვლად არჩეულ იქნა ქ-ნი მარიამ ბეჟანის ასული იონათამიშვილი. საზ-მ ის გამგეობამ ამ ზამთრისთვის წარმოდგენების გასამართავად გორის მახრის სახმელრო უფროსს. ადგილობრივ კამანდის შენობა სთხოვა იმ პირ აბით, რომ წარმოდგენების შემოსავლიდან 10%/0 დატრილ მემართა სასარგებლოდ გადაიღოს.

— **თედო შორაღანიას** გარდაცვალების ამოთბ. სასულიერო სემინარიამ დაადგინა: 1. ყოფილ მოწაფეთა შორის ხელის მოწერით ფული შეაგროვოს და ერთი სტიპენდია დანიშნოს განსვენებულის სახელზე; 2. გვირგვინის ნაცვლად, ერთი ღარიბი მოწაფე გაანთავისუფლოს სწავლის ფულის გადახდისაგან და სხ.

— **ბაძოს ღრამ. წრის** სეზონი დაიწყო ღვინობისთვის 16 შალვა დადიანის რეისორობით. წარმოდგინეს „ქრისტინე“ წარმოდგენის დაწყებამდე შ, დადიანმა მისსალმებელი სიტყვით მიმართა საზოგადოებას, დიდძალი ხალხი დაესწრო. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა.

— **სურამის ღრამ საზ-ის** თავმჯდ. გ. შალიბაშვილის წინააღმდეგ ამხედრებულთა საპასუხოდ სურამის საზ-ის 59 წარმომდგენელი ვრცელი წერილით („სახალხო ფურცელი“ № 703) ამტკიცებს, რომ—გ. შალიბაშვილი სურამის ყოველ საკულტურო საქმის დაფუძნება-აღორძინებაში გულწრფელ მონაწილეობას იღებს, ადგილობრივ საზ-ია წინსვლას ხელს უწყობს, მისი თაოსნობით დაარსდა ადგილობრივი ღრამ. საზ., რისთვისაც შეაგროვა ფული, იყიდა მიწა; თავი გულწრფელ მუშაობით ყველას სიყვარული დამსახურა, რისთვისაც გ. შალიბაშვილს უცხადებენ „გულწრფელ თანაგრძნობას უგანაო ადამიანთაგან მიყენებულ ცილის წამებისათვის“, ხოლო მის წინააღმდეგ ამხედრებულთ „ზიზღს და განკიცხვას“

— **კახუში თ. შორაღანიას** გარდაცვალების გამო ღვინობ. 25 ადგილობრივ მღ. ს. მაჭარაშვილის, მასწავ. თაბუკაშვილისა და ცხვედაძის თაოსნობით, მოწაფეთა და საზ-ის თანდასწრებით გადახდილ იქნა პანაშვიდი. ზღ. ს. მაჭარაშვილმა მოკლე სიტყვით დაახასიათა განსვენებული.

თ. შორაღანიას პირველ პანაშვიდს, 24 რომელიც გადახდილ იქნა პლატონ ეგსარბოსის მიერ ანტონ ვისიკაშოსის, ნახარი არქიმანდრიტისა, სემინ. რექტორის კორ. კეკელიძისა და ს. თანამსახურობით, დაესწრენ კულტურულ დაწესებულებათა, სასწავლებელ, პრე ის, თავ.-ახუნაურო, ქალაქთა და სხ. წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი.

— **მომავალ ნომრიდან** დაიწყებთ ბ-ნ სილოვანის წერილების „კრიტიკული შეცთომები“-ს ბეჭდვას.

— **სახალხო სახლში 22 X** შათირიშვილის რეისორობით წარმოდგენილ იქნა „ისმინე ისრაელ“

და „დავა“ (ერთი სურათი). მსახიობ-სცენის მოყვარეთ ორივე პიესა რიგიანად წარმოადგინეს, განსაკუთრებით „დავა“ იყო საუცხოველი აქ მონაწილენი (ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი, ჟენეტი, მსახურის აღმასრულებელი და სხ.) თითქო ერთმანეთს ეცილებოდნენ, ამიტომაც პირველი პიესის მიმღე, ბურუსიანი შთაბეჭდილება ამან გამოისყიდა. „ისმ. ისრ.“ ღრმა იდეურ-პისონოლოგიური პიესაა, მისი განსახიერებაც ფრიალ ძნელია და იქნება ესეც იყო მიზნები, რომ მაყურებელთა დიდი ნაწილი-სათვის თითქმის მიუწოდებელი იყო. აქ მაინც მკაფიოდ დაგვისურათეს ნაკისრი როლები ან. ქიქოძემ (სიამოვნებით უნდა აღინიშნოს აქ მსახიობ ქალის ყოველ მხრივი წარმატება) ელ. ციმაუკრიძემა და ვ. გამყრელიძემ. დანარჩენნიც, განსაკუთრებით ა. მეტრეველი, პიესის მთლიანობას ხელს უწყობდნენ

ურთიგა არ იქნება, აეთი პიესების წარმოდგენის დროს პიესის დედა-აზრს რავედენიმე სიტყვით გააცნობდნენ მაყურებელთ,

ფრიალ სამწუხაროა დამწერ-მაყურებელთა თავდაუქუტობა: მოქმედების დროს ულაგოდ ღრვება. ჩუჩული, უხამსი წამოძახილი და სხ. აღმაიანს (განსაკუთრებით მსახიობს) რკინის ძარღვები უნდა ჰქონდეს რომ ყოველდღე ეს აიტანოს და არ ჩაფლავდეს!—სირცხვილია, სირცხვილი კაცი გინდა ქალი თვატრში იჯდეს და თავი ბოვლში ეგონოს.

ძ. არმაზირში თითქო ოთხი-ხუთი თვე იქნება, ქართული წარმოდგენების მართვა მიყურდა. ხალხს სწყურია სულიერი საზრდო, მომწოდებელი და ანგარიშის გამწვევი-კი ნაკლებად სჩანს. მართალია აქ ამ ერთი წლის განმავლობაში (ისიც წ. კ. განყოფილების დამფუძნებელთა წყალობით) რამდენიმე წარმოდგენა გაიმართა მაგრამ მხოლოდ ერთი პიესა იყო შეიერიანად დადამული.

არმაზირში ერთი მუქა ქართველობა და ერთმანეთის პატივის ცემისა და ხელის შეწყობის ნაცვლად სამწუხაროდ ურთიერ ს ამცირებენ, ხელს უშლიან. ვინც ს ზოგადო საქმით დაინტერესებულა, ვისაც ხალხი და მისი ინტერესები უყვარს, ის არაოდეს არ დაიფიწყებს საზოგადო საქმეს, არ მიაქცევს კერძო ინტერესებს და რითაც-კი შეიძლება, ხელს გაუწოდებს საერთო საქმეს, რა საქირთა ერთმანეთის დამცირება, ლანძღვა-ორვეა, ქიშპი, დემაგოგია? დროა, დრო ასეთი ზნე-ჩვეულება მივატოვოთ და გულწრფელად მოვეკიდნეთ საერთო საქმეს.

ოთხშაბათს, 5/X ახლა თეატრის 1) დარბაზში, ადგილობრივი სცენის მოყვარებმა ბ ს. სვიმონიძის რეჟისორობით წარმოადგინეს ვ. გუნიას „და-ძმა“, დრ. ნ მოქ. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარ. ეს იმიითი აიხსნება, რომ ჯერ ერთი სცენის მოყვარეთა უმეტესობა პირველად გამოვიდა სცენაზე, მეორეც მათ შორის უთანახმოებდა ჩამოვარდნილი (მხოლოდ ოთხიოდე პირი ასრულებდა კარგად ნაკისრ როლებს). იმედია საქმე თავის კაპიტოტში ჩადგება და ის ახალი სცენის მოყვარენი, რომლებიც პირველად გამოვიდნენ სცენაზე, მომავალში ნაკლს შეივსებენ. ხალხი ბლომად დაესწრო, შემოსავალიც გვარ ანი იყო. აღსანიშნავია ის სასიამოვნო მოვლენა, რომ ადგილობრივ ქართველებს ადგილობრივი სოზობა

დიდის თანაგრძნობით ჰხედება, წარმოდგენებზე ყოველთვის ბლომად ესწრებიან და საზოგადოებას ნივთიერადაც ეხმარებ. მადლობის ღირსნი არიან ყველა ის პირნი, რომელთაც შრომა არ დაიხარეს ზემო აღნიშნულ წარმოდგენაზე და განსაკუთრებით გამო კაშაურისა, ანასტასია კარიაული და ნინო კიშუაურის ასუ-ლნი, რომლებიც თავიანთ შრომას არ იშურებენ საზოგადოების საკეთილ დღეო (ბილეთები პრგრამების ყვევილებს გაყიდვით და ბუფეტში მუშაობით).

საჭიროა არმაზირის სცენის მოყვარებმა პირადი უთანხმოება მოსპონ, ანგარიში გაუწიონ ხალხის სურვილს, სისტემატიურად მართონ წარმოდგენები და პიესების არჩევაშიც დიდი სიფრთხილე გამოიჩინონ.

მედგარი

კონსერვატორიის სტრუქტურაზე პროგრ. ვაშხაღუშვილი ილი ოქუჩუხელი მართი წერ. ლით: Орхевский пер. д. 7

- ახალი კლუბი 1 კვირის პროგნოზი 03 დენ. 6 გიორ კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ. ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ. - 50 კ. სამშაბათი — სიმფონიური კონცერტი. ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ. პარასპ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ. - 30 კ-დე. შაბ. — სიმფონიური ორკესტრი კონცერტი მ. ა. ვოლფი-იზრაელის ხელმძღვან. კვირა — რუსულ წარმო. ბილეთ. 5-30 კ. დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა შესასვლელი ფასი მანდილოსნები 50-კ, მამაკაცი — 1-რან.



რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

Доволено Военной Цензурою с глгома «სორაპანი»